

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ადგილობრივი თვითმმართველი

ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„31“ 10“

2014 წელი

ეგზ. № 1

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში *აშ 34/00*

2014 წელი

სარჩევი

აუდიტის ობიექტი.....	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	5
აუდიტის მიდგომა	6
ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში.....	8
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	8
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	9
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	10
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში.....	10
სხვა მატერიალური მარაგები.....	10
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები.....	13
ექსპლუატაციაში მყოფი, ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.....	13
სუბსიდია	14
სოციალური უზრუნველყოფა.....	15
სხვა ხარჯები	15
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება.....	16
აუდიტის დასკვნა.....	16
ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში.....	18
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	18
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	18
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	19
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში.....	19
მატერიალური მარაგები.....	20
შენობა -ნაგებობება	21
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები.....	24
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.....	24

სუბსიდია	25
სოციალური დახმარება.....	26
სხვა ხარჯები	26
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	27
აუდიტის დასკვნა.....	27
ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	29
ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	50
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	73
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	73

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. მუნიციპალიტეტი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 და 2014 წლების 1 იანვრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესახებ.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის

ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა, რომელთაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რათა დაიგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები. აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ რისკზე საპასუხოდ ჩატარდა შემდეგი აუდიტორული პროცედურები:

1. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების“ მუხლის სისწორის დასადასტურებლად გადამოწმდა წლის მანძილზე განხორციელებული შესყიდვები, უსასყიდლოდ მიღებული არაფინანსური აქტივები და ყველა ის ოპერაცია, რომელიც თავისი ბუნებით მიეკუთვნება არაფინანსური აქტივის მიღება-გასვლას. განხორციელებული შესყიდვების შემოწმებისას აუდიტის ჯგუფი დაეყრდნო მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ წლის მანძილზე განხორციელებული შესყიდვების მონაცემს (რეესტრს).
2. „ხარჯების“ მუხლში წარმოდგენილი მონაცემის წარმოშობის მტკიცებისათვის, ერთმანეთს შედარდა შესყიდვების რეესტრში არსებული ხარჯების ოპერაციები და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემი. შემოწმდა გაფორმებული ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები.

გარდა ამისა, შემოწმდა ისეთი შინაარსის ხარჯების ოპერაციები, რომლებიც არ განხორციელებულა შესყიდვის გზით, კერძოდ:

- სუბსიდიის სახით გაწეულ ხარჯზე - სუბსიდიის მიმღები ორგანიზაციები და მათი გაცემის საფუძვლიანობა.
- სოციალური დახმარების მიზნით გადარიცხულ თანხებზე - სოციალური დახმარების პროგრამები და ბენეფიციართა სახელობითი სიები.

- წლის განმავლობაში გაცემულ ხელფასებსა და პრემიებზე - ხელფასის უწყისი და გაცემულ პრემიებზე თანამშრომელთა სახელობითი სიები.
- 3. მუნიციპალიტეტიდან მოწოდებული შესყიდვების რეესტრის სისრულისა და საიმედოობის დადგენის მიზნით, ერთმანეთს შედარდა შესყიდვების გეგმისა და მუნიციპალიტეტიდან მიღებული შესყიდვების (ბაზის) რეესტრის მონაცემები. ეს უკანასკნელი ასევე შედარდა შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას.
- 4. განხორციელებულ შესყიდვებზე საკასო ხარჯის დადასტურების მიზნით გადამოწმდა საბანკო გადარიცხვები. ამ მიზნით შესყიდვების რეესტრში მოცემულ მიმწოდებლებზე გადარიცხული თანხები შედარდა საბანკო ამონაწერს, რომელიც წარმოადგინა მუნიციპალიტეტმა და აუდიტის ჯგუფის მიერ მიღებულია, როგორც სარწმუნო.
- 5. ბანკის ამონაწერში გადარიცხული თანხების რეალურობის (საფუძვლიანობის) დასადგენად შემოწმდა გადარიცხული თანხების შესაბამისობა ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ და დოკუმენტურად დასაბუთებულ ოპერაციებთან.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა სისტემური ხასიათის შეცდომები, რომლებიც იდენტურია და დამახასიათებელია ორივე, 2012 და 2013 წლებისათვის. ორგანიზაცია სისტემურად არასწორად ახდენს კონკრეტული შინაარსის ოპერაციების აღრიცხვა-ანგარიშგებას. შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ტყიბულის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

იქიდან გამომდინარე, რომ 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობებია, წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ აღებულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან.

2012 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 7293.9 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 4620.1 ათასი ლარი (63%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 2004.1 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 132.7 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 2483.3 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 7059.7 ათასი ლარი. გადასახდელების 58%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 42%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა. 2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქუჩების მოასფალტებისა და გარე განათების სამუშაოები.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ ძირითადი აქტივების აღრიცხვა;
- ✓ მატერიალური მარაგების აღრიცხვა;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა;
- ✓ ხარჯების აღრიცხვა;
- ✓ საცნობარო მუხლების აღრიცხვა;
- ✓ ცვეთის დარიცხვა.

ორგანიზაციას არ აქვს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია როგორც სარწმუნო.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. ტყიბულის მუნიციპალიტეტს 2012 წლის ბოლოს, ბანკში მიმდინარე ანგარიშზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ერიცხებოდა 527.3 ათასი ლარი ფულადი სახსრები. აღნიშნული ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლი (ბალანსი - ფორმა №1) „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

სხვა მატერიალური მარაგები

გარემოება. 2012 წელს მუნიციპალიტეტმა შპს „სანპეტროლიუმ ჯორჯიასაგან“ შეისყიდა 102.3 ლარის საწვავი. წლის ბოლოს მუნიციპალიტეტს მიღებული საწვავიდან ნაშთად დარჩა 5.6 ათასი ლარის საწვავი. ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლი არ მოიცავს ინფორმაციას ნაშთად არსებული საწვავის შესახებ. აღნიშნული შესყიდვა სრულად გატარებულია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში, კერძოდ, „ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა - შენახვის ხარჯში“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1; ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „სხვა მატერიალური მარაგის“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2, №3) „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი. აღნიშნული გავლენას ახდენს ბალანსის დანართ №3-ში წარმოდგენილი ნაშთის სისწორეზე.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) მითითებული „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

შენობა-ნაგებობები

გარემოება 1. 2012 წელს მუნიციპალიტეტში განხორციელდა 77.6 ათასი ლარის წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და ჭების მოწყობის სამუშაოები¹. აღნიშნული რეალურად წარმოადგენს არაფინანსური აქტივის ზრდას, მაგრამ ბუღალტრულად აღიარებულია როგორც „სხვა ხარჯები“ და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „შესაბამისი ხარჯის“ მუხლით. ოპერაციის არასწორად აღრიცხვის გამო, არასწორია ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობის“ მუხლსა და „სხვა ხარჯების“ მუხლში წარმოდგენილი მონაცემი.

გავლენა

- სამუშაოების აქტივად აღურიცხაობის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 77.6 ათასი ლარით.
- აქტივის ოპერაციების ხარჯად აღიარება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2 და №3) წარმოდგენილი „სხვა ხარჯების“ მუხლსა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. რადგან შენობა-ნაგებობის ღირებულება ბალანსში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, მასზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2012 წელს დარიცხული ცვეთის მაჩვენებელი არასწორია. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები - ფორმა № 2, № 2-1, №3 და №5)

¹ ხელშეკრულებები: №18; 22; 37; 39; 57; 67; 71; 73; 77; 96; 99; 106;117;;124;131;135;

„ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 2. 2012 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა 37.4 ათასი ლარის საპროექტო და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა. როგორც ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით არის განსაზღვრული, ოპერაციის ძირითად აქტივად აღიარების დროს ყველა დანახარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ემატება აქტივის ღირებულებას. როგორც დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, საპროექტო მომსახურების ღირებულება ნაცვლად არაფინანსური აქტივისა, სრულად აღიარებულია „სხვა ხარჯის“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „შენიშვნა-ნაგებობის“ მუხლი 37.4 ათასი ლარით არის შემცირებული.
- აქტივის ოპერაციების ხარჯში აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3) წარმოდგენილ „სხვა ხარჯის“ მუხლსა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. რადგან საპროექტო მომსახურების ღირებულება ბალანსში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად მასზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები - ფორმა №2; № 2-1, №3 და № 5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება. 2012 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ბალანსზე ერიცხება 68.4 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, რომელიც წარმოადგენს წინა წლების დავალიანებას და მუნიციპალიტეტს ბალანსზე ერიცხება 2007 წლიდან. ფინანსურ აგარიშგებაში აღნიშნული დავალიანება რამდენიმე მუხლშია წარმოდგენილი, კერძოდ: ვალდებულების მუხლში, როგორც „მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები“, ასევე მოთხოვნების მუხლში, როგორც „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“. გარდა ამისა, წარმოდგენილია საცნობარო მუხლში, როგორც „ვადაგადაცილებული დავალიანებები“. აღნიშნული თანხა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ვალდებულებას და მისი ერთდროულად მოთხოვნებისა და საცნობარო მუხლებში ასახვა არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) ოპერაციის არასწორი წარმოდგენა გავლენას ახდენს „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ მუხლისა და საცნობარო მუხლში - „ვადაგადაცილებული დავალიანებების“ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

ექსპლუატაციაში მყოფი, ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

გარემოება. მუნიციპალიტეტმა წლის მანძილზე განახორციელა 500 ლარს ქვემოთ ღირებულების მცირეფასიანი, მაგრამ ხანგძლივი გამოყენების საქონლის შესყიდვა. აღნიშნული აქტივების ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემით შეადგენს 13.8 ათას ლარს. ოპერაცია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მხოლოდ „მიღების“

მუხლში და არ არის ნაჩვენები „გასვლის“ მუხლში. მცირეფასიანი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული უნდა იყოს საცნობარო მუხლში.

გავლენა

- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №5) შესაბამისი მუხლის სისწორეზე.
- ბალანსში საცნობარო მუხლში „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ შემცირებულია 13.8 ათასი ლარით.

სუბსიდია

გარემოება. 2012 წელს ტყიბულის მუნიციპალიტეტმა მის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-სა და შპს-ზე სუბსიდიის სახით გასცა 2088.3 ათასი ლარი. გარდა ამისა, საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისათვის ამხანაგობებს გადაურიცხა 228.8 ათასი ლარი. სულ წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის მიერ „სუბსიდიის“ მუხლიდან გაცემული თანხა შეადგენს 2317.1 ათას ლარს. ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანების მიხედვით, სუბსიდია წარმოადგენს ორგანიზაციის ხარჯს. ოპერაცია ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯის სახით - „სუბსიდიის“ მუხლში. არც ბუღალტრულ ჩანაწერებში და შესაბამისად, არც ფინანსურ ანგარიშგებაში „სუბსიდიის“ მუხლით გახარჯული 2317.1 ათასი ლარი არ არის აღიარებული ხარჯად.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2 და № 3) „სუბსიდიის“ მუხლი შემცირებულია 2317.1 ათასი ლარით, რაც ასევე გავლენას ახდენს ფორმა № 3-ში საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

სოციალური უზრუნველყოფა

გარემოება. 2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ „სოციალური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, სხვადასხვა პროგრამებიდან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების მიზნით, გახარჯულია 340.1 ათასი ლარი. როგორც საკითხის შესწავლით გამოვლინდა, „სოციალური დახმარების პროგრამიდან“ გახარჯული თანხები ხარჯში სრულად არ არის ასახული. ხარჯად აღიარებულია მხოლოდ „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამით“ გახარჯული თანხა - 68.6 ათასი ლარი. დანარჩენი პროგრამების ფარგლებში გახარჯული 271.5 ათასი ლარის ბუღალტრულად არ არის გატარებული და შესაბამისად, არც ფინანსურ ანგარიშგებაშია წარმოდგენილი.

გავლენა

- აღნიშნული გარემოება 271.5 ლარით ამცირებს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2 და №3) „სოციალური დახმარების“ მუხლში წარმოდგენილ მონაცემს და გავლენას ახდენს ფორმა №3-ში „წმინდა ღირებულების“ საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

სხვა ხარჯები

გარემოება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემის მიხედვით, „სხვადასხვა ხარჯების (კაპიტალური)“ მუხლი შეადგენს 2967.5 ათას ლარს. როგორც შესწავლით გამოვლინდა, აღნიშნული თანხა მოიცავს არაფინანსური აქტივის მიღების ოპერაციებს, ღირებულებით 2503.9 ათასი ლარი, ასევე სხვადასხვა შინაარსის ხარჯებს. ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანების მიხედვით, აღნიშნულ მუხლში წარმოდგენილი 2967.5 ათასი ლარიდან, თავისი შინაარსის მიხედვით, არც ერთი ოპერაცია არ ექვემდებარება კაპიტალურ ხარჯად აღიარებას. შესაბამისად, ფინანსურ

ანგარიშგებაში მათი წარმოდგენა (კლასიფიკაცია) „სხვა ხარჯის“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ოპერაციის არასწორად აღრიცხვის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2) „სხვა ხარჯების“ მუხლი 2967.5 ათასი ლარით არის გაზრდილი.

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება

გარემოება. მუნიციპალიტეტმა 2012 წელს სულ მიიღო 7293.9 ათასი ლარის შემოსავალი. ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ შემოსავალი წარმოდგენილია 4456.9 ათასი ლარით, რაც 2837.0 ათასი ლარით ნაკლებია რეალურად მიღებულ შემოსავალზე.

გავლენა

- მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის სრულად აღურიცხაობის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №3) შემოსავალი 2837.0 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.
- აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ტყიბულის

მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება;

✓ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

2013 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით², ტყიბულის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 7281.3 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 5547.4 ათასი ლარი (76%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი. მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 1656.2 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 124.3 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 3766.9 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 6901.9 ათასი ლარი. გადასახდელების 55%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 45%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ ძირითადი აქტივების აღრიცხვა;
- ✓ მატერიალური მარაგების აღრიცხვა;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის

ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;

² 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლინდა არსებითი უზუსტობები. წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ აღებულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან.

- ✓ კრედიტორული დავალიანების აღიკვეცა;
- ✓ ხარჯების აღრიცხვა;
- ✓ საცნობარო მუხლების აღიკვეცა;
- ✓ ცვეთის დარიცხვა.

ორგანიზაციას არ აქვს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. ბუღალტერიაში აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოებს ხელით, მემორიალური ორდერებისა და ე.წ. „მთავარი წიგნის“ საშუალებით, რომელიც არ არის ელექტრონული.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების“, „მატერიალური მარაგების“, „სუბსიდიის“, „სოციალური უზრუნველყოფის“, „სხვადასხვა ხარჯების“, „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ და საცნობარო მუხლები. 2012 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად წარმოდგენილი ჩამოთვლილი მუხლები არსებით გავლენას ახდენს 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი „საწყისი ნაშთების“ სისწორეზე.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. ტყიბულის მუნიციპალიტეტს საბანკო ამონაწერის მიხედვით, 2013 წლის ბოლოს, მიმდინარე ანგარიშზე მოწოდებული ინფორმაციით, ერიცხებოდა 907.0 ათასი ლარი ფულადი სახსრები. აღნიშნული ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლი (ბალანსი - ფორმა №1) „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

მატერიალური მარაგები

გარემოება. 2013 წელს მუნიციპალიტეტმა შპს „სანპეტროლიუმ ჯორჯიასაგან“ შეისყიდა 79.9 ათასი ლარის საწვავის ტალონი. წლის ბოლოს მუნიციპალიტეტს მიღებული საწვავიდან ნაშთად დარჩა 2.2 ათასი ლარის საწვავი. ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლი არ მოიცავს ინფორმაციას ნაშთად არსებული საწვავის შესახებ. შეძენილი საწვავი სრულად არის გატარებული „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში, კერძოდ, „ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯში“. გარდა ამისა, შეძენილია 2.0 ათასი ლარის მატერიალური მარაგები³, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში მიღებისა და გასვლის მუხლში წარმოდგენილი არ არის.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1 და ბალანსის დანართი - ფორმა № 5) „სხვა მატერიალური მარაგის“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2, №3) „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი. აღნიშნული გავლენას ახდენს ბალანსის დანართ №3-ში წარმოდგენილი ნაშთის სისწორეზე.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

³ ი/მ „ზაზა ზოსიაშვილის" - 1.4 ათასი ლარის მიღები, ასევე შპს „ჯუბას"- 0.6 ათასი ლარის სახურავის გადასახური მასალა (გოფირებული თუნუქი).

შენობა-ნაგებობება

გარემოება 1. 2013 წელს მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ხელშეკრულების⁴ ფარგლებში განახორციელა 106.2 ათასი ლარის სამუშაოების შესყიდვა, რომელიც რეალურად წარმოადგენს არაფინანსურ აქტივს. აღნიშნული ოპერაციები ბუღალტრულ ჩანაწერებში არ არის აღიარებული აქტივად და შესაბამისად, არც ფინანსურ ანგარიშგებაშია წარმოდგენილი.

გავლენა

- არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ღირებულების აქტივად აღურიცხველობის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმები №2-1, №5) „შენობა-ნაგებობის“ მუხლი შემცირებულია 106.2 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. რადგან შენობა-ნაგებობის ღირებულება ბალანსში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, მასზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2013 წელს დარიცხული ცვეთის მაჩვენებელი არასწორია. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1 და ბალანსის დანართი ფორმები №2, №2-1, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 2. ტყიბულის მუნიციპალიტეტმა შპს „ალმ ევროტექნიკსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების⁵ ფარგლებში შეისყიდა მუნიციპალიტეტის

⁴ ხელშეკრულებები №49,51,53,55,56,68,69, 80, 84,87, 90,92,96,101,105, ხელშეკრულებები გულისხმობს შენობა-ნაგებობების სარეკონსტუქციო სამუშაოებს, წყლის სისტემის რეაბილიტაციის, ჭეხის, განათების და ნაპირსამაგრი სამუშაოებს.

⁵ ხელშეკრულება №137

გამგეობის ადმინისტრაციული შენობის ელექტროგაყვანილობის შეცვლის სამუშაოები. შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 21.7 ათასი ლარი. ოპერაცია, ნაცვლად არაფინანსური აქტივის ზრდისა, აღიარებულია ხარჯად და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია „ოფისის ხარჯის“ მუხლში. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში შემცირებულია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი და შესაბამისი თანხით გაზრდილია „ოფისის ხარჯის“ მუხლი.

გავლენა

- არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ღირებულების აქტივად აღურიცხველობის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „შენობა-ნაგებობის“ მუხლი შემცირებულია 21.7 ათასი ლარით.
- „არაფინანსური აქტივის“ არასწორად, „ოფისის ხარჯებში“ აღრიცხვის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის და ბალანსის დანართი - ფორმა №2 და ფორმა №3) წარმოდგენილი მუხლი გაზრდილია 21.7 ათასი ლარით, რაც, ასევე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ ანგარიში (ფორმა №3) საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. რადგან შენობა-ნაგებობის ღირებულება ბალანსში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, მასზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2013 წელს დარიცხული ცვეთის მაჩვენებელი არასწორია. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის და ბალანსის დანართები - ფორმა №3 და ფორმა №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსში წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

გარემოება 3. 2012 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა 26.7 ათასი ლარის საპროექტო მომსახურების შესყიდვა. როგორც ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით არის განსაზღვრული, ოპერაციის ძირითად აქტივად აღიარების დროს ყველა დანახარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ემატება აქტივის ღირებულებას. როგორც დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, საპროექტო მომსახურების ღირებულება, ნაცვლად არაფინანსური აქტივისა, სრულად აღიარებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №2-1, №5) „შენობა-ნაგებობის“ მუხლი 26.7 ათასი ლარით არის შემცირებული.
- აქტივის ოპერაციების ხარჯში აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3) წარმოდგენილ „საქონელი და მომსახურების“ მუხლსა და ფორმა №3-ში წარმოდგენილ „საბოლოო ნაშთის“ სისწორეზე.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. რადგან საპროექტო მომსახურების ღირებულება ბალანსში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, მასზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები - ფორმა №2; № 2-1, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება. 2013 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ბალანსზე ერიცხება 163.8 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს 68.4 ათასი ლარის წინა წლების დავალიანებას და მიმდინარე წელს წარმოშობილ დავალიანებას - 95.4 ათას ლარს. ფინანსურ აგარიშგებაში აღნიშნული დავალიანება რამდენიმე მუხლში არის წარმოდგენილი, კერძოდ: ვალდებულების მუხლში, როგორც „მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები“, ასევე მოთხოვნების მუხლში, როგორც „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“. გარდა ამისა, წარმოდგენილია საცნობარო მუხლში, როგორც „ვადაგადაცილებული დავალიანებები“. აღნიშნული თანხა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ვალდებულებას და მისი ერთდროულად მოთხოვნებისა და საცნობარო მუხლში ასახვა არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) ოპერაციის არასწორი წარმოდგენა გავლენას ახდენს „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ მუხლისა და საცნობარო მუხლში - „ვადაგადაცილებული დავალიანებები“ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

გარემოება. მუნიციპალიტეტმა წლის მანძილზე განახორციელა 500 ლარს ქვემოთ ღირებულების მცირეფასიანი, მაგრამ ხანგძლივი გამოყენების საქონლის შესყიდვა. აღნიშნული აქტივების ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემით შეადგენს 12.9 ათას ლარს. გარდა ამისა, უსასყიდლოდ მიღებული აქვს 4.7 ათასი ლარის მცირეფასიანი აქტივი. ოპერაცია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მხოლოდ „მიღების“ მუხლში და არ არის ნაჩვენები „გასვლის“ მუხლში. მცირეფასიანი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული უნდა იყოს საცნობარო მუხლში.

გავლენა

- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსის დანართი - ფორმა №5) შესაბამისი მუხლის სისწორეზე.
- ბალანსში საცნობარო მუხლში „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ შემცირებულია 17.6 ათასი ლარით.

სუბსიდია

გარემოება. 2013 წელს ტყიბულის მუნიციპალიტეტმა მის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-სა და შპს-ზე სუბსიდიის სახით გასცა 2113.8 ათასი ლარი. გარდა ამისა, საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისათვის ამხანაგობებს გადაურიცხა 25.2 ათასი ლარი. სულ წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის მიერ „სუბსიდიის“ მუხლიდან გაცემული თანხა შეადგენს 2139.0 ათას ლარს. ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანების მიხედვით, სუბსიდია წარმოადგენს ორგანიზაციის ხარჯს. ოპერაცია ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯის სახით - „სუბსიდიის მუხლში“. არც ბუღალტრულ ჩანაწერებსა და შესაბამისად, არც ფინანსურ ანგარიშგებაში „სუბსიდიის“ მუხლით გახარჯული 2139.0 ათასი ლარი არ არის აღიარებული ხარჯად.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2 და №3) „სუბსიდიის“ მუხლი შემცირებულია 2139.0 ათასი ლარით, რაც ასევე გავლენას ახდენს ფორმა №3-ში საბოლოო ნაშთის სისწორეზე. გარემოება გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

სოციალური დახმარება

გარემოება. 2013 წელს მუნიციპალიტეტმა სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პროგრამებიდან გასწია 221.8 ათასი ლარის სოციალური დახმარება. როგორც საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, „სოციალური დახმარების პროგრამიდან“ გახარჯული თანხები „ხარჯში“ სრულად არ არის ასახული. ხარჯად აღიარებულია მხოლოდ „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამიდან“ გახარჯული თანხა - 53.8 ათასი ლარი. დანარჩენი პროგრამიდან გახარჯული 168.0 ათასი ლარი ბუღალტრულ ჩანაწერებსა და შესაბამისად, არც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ხარჯად აღიარებული.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2 და №3) „სოციალური დახმარების“ მუხლი შემცირებულია 168.0 ათასი ლარით. გარემოება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების ანგარიშში“ (ფორმა №3) წარმოდგენილი საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

სხვა ხარჯები

გარემოება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემის მიხედვით, „სხვადასხვა ხარჯების (კაპიტალური)“ მუხლი შეადგენს 3076.5 ათას ლარს. როგორც შესწავლით გამოვლინდა, აღნიშნული თანხა მოიცავს არაფინანსური აქტივის მიღების ოპერაციებს, ღირებულებით 2871.2 ათასი ლარი, ასევე სხვადასხვა შინაარსის ხარჯებს. ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანების მიხედვით, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯის მუხლში წარმოდგენილი 3076.5 ათასი ლარიდან, თავისი შინაარსით, არც ერთი ოპერაცია არ ექვემდებარება კაპიტალურ ხარჯად აღიარებას. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში მათი წარმოდგენა (კლასიფიკაცია) „სხვა ხარჯის“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ოპერაციის არასწორად აღრიცხვის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2) „სხვა ხარჯების“ მუხლი 3076.5 ათასი ლარით არის გაზრდილი.

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება

გარემოება. მუნიციპალიტეტმა 2013 წელს მიიღო 7281.3 ათასი ლარის შემოსავალი. ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ - ფორმა №3-ში ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ შემოსავალი წარმოდგენილია მხოლოდ 4581.4 ათასი ლარი, რაც 2699.9 ათასი ლარით ნაკლებია რეალურად მიღებულ შემოსავალზე.

გავლენა

- მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის სრულად აღურიცხველობის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა № 3) შემოსავალი 2699.9 ათასი ლარით შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლის“ სისწორეზე.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება;

✓ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება

ბალანსი - ფორმა №1

(ლარი)

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისა თვის	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		

180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები მოთხოვნები დარიცხული	1353		
190	ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ	1354		
200	ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1433	348	
240	მოთხოვნები ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით სხვა დანარჩენი	1359		
250	მოკლევადიანი ფინანსური აქტივები მოთხოვნები	1360		
260	მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410	68399	68399
270	მოთხოვნები მივლინებით	1421	15	
280	მოთხოვნები დანაკლისებით	1422	3062	3062
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		

340	გრძელვადიანი სესხები	1510		
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610		
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620		
390	შენობა-ნაგებობები	2110	4035348	6180605
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	450435	451863
410	სხვა ძირითადი აქტივები	2130	6587	6587
420	სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	2150	693245	693245
430	სხვა მატერიალური მარაგები	2220	668062	662933
440	ფასეულობები	2300		
450	არაწარმოებული აქტივები	2400		
ბალანსი			5925501	8066694
I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები				
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები მომსახურების	3100		
470	მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	68399	68399
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
490	ვალდებულებები ბარტერით	3230		
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
510	გადასახდელი დღგ	3242		
520	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3222	333	

530	სხვა გადასახდელები	3244	
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით ბიუჯეტის წინაშე	3245	
550	დარიცხული ვალდებულებები შტატით	3246	
560	მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები შტატგარეშე	3251	
570	მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები ვალდებულებები	3252	15
580	მივლინებით ქვეყნის შიგნით ვალდებულებები	3253	15
590	მივლინებით ქვეყნის გარეთ დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით	3254	
600	გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით	3255	
610	გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები ვალდებულებები ორგანიზაციის	3256	
620	მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257	
630	გადასახდელი სტიპენდიები	3258	
640	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259	
650	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ სოციალური	3260	
660	დახმარებით დარიცხული ვალდებულებები სხვა მოკლევადიანი	3270	
670	კრედიტორული დავალიანებები	3280	

680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		
II. კაპიტალი				
690	წმინდა ღირებულება	5100	5856739	7998295
700	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
710	გაუნაწილებელი მოგება	5220		
720	დაუფარავი ზარალი*	5230		
ბალანსი			5925501	8066694
III. საცნობარო მუხლები				
730	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
750	გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
760	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები	04		
770	ექსპლუატაციაში პირობითი მოთხოვნები	05		
780	პირობითი ვალდებულებები	06		
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
800	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	1570327	1661812
810	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	68399	68399
